

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ცხრა თვის (იანვარი - სექტემბერი) ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ.

საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 27 ნოემბერს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #32 დადგენილებით 14 770 000 ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში 2020 წლის იანვარ - სექტემბერში ცვლილება განხორციელდა ათჯერ და ბიუჯეტის მოცულობა გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 35 102 000 ლარით, ხოლო შემოსულობებმა შეადგინა 28 740 900 ლარი.

2020 წლის იანვარ - სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე გრანტის სახით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 5 880 700 ლარი, რაც ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის 8 565 600 ლარის 69,0 პროცენტია.

2020 წლის იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა აღნიშნული პერიოდისათვის 16 265 900 ლარი შეადგინა, რაც ცხრა თვის გეგმის (18 429 400 ლარი) 88,3 პროცენტია და წლიური დაზუსტებული გეგმის (28 740 900 ლარი) 56,6 პროცენტს შეადგენს. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 8 396 900 ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის 8 147 900 ლარის 103,1 პროცენტია.

2020 წლის ცხრა თვეში 2019 წლის ცხრა თვესთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავლები და შემოსულობები გაზრდილია შესაბამისად 430 500 და 490 800 ლარით.

2020 წლის იანვარ-სექტემბერში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 17 026 800 ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის 23 323 600 ლარის 73,0 პროცენტს, წლიური დაზუსტებული გეგმის (35 102 000 ლარი) 48,5 პროცენტს შეადგენს და რომლის საერთო მოცულობიდან ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა 6 758 600 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის დაფინანსებას 10 231 000 ლარი.

აღნიშნული დაფინანსებიდან ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე იანვარ - სექტემბრის თვეში გაიხარჯა 9 945 600 ლარი, რაც გეგმის (14 414 700 ლარი) 69,0 პროცენტია და 2019 წლის ცხრა თვესთან შედარებით ფაქტიური შესრულება გაზრდილია 2 720 300 ლარით.

განათლების პროგრამის დაფინანსებაზე საკასო შესრულებამ ცხრა თვეში შეადგინა 2 070 900 ლარი, გეგმის 3 022 300 ლარის 68,5 პროცენტია.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებამ იანვარ - სექტემბერში 77,0 პროცენტი შეადგენა. ამ ღონისძიებებისათვის სულ გაიხარჯა 1 643 700 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებაზე გახარჯულია 750 900 ლარი, საიდანაც ჯანმრთელობის პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 87 900 ლარი, ხოლო სოციალური პროგრამების დაფინანსებას 644 200 ლარი.

2020 წლის ცხრა თვის შედეგების განხილვის დროს განხილული იქნა აღნიშნული პერიოდის შესრულების მონაცემები ცხრილების სახით, როგორც ფუნქციონალური ასევე პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივარ წინადადებით 2020 წლის იანვარ - სექტემბის ბიუჯეტის შესრულებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერიის მუშაობა შეფასდეს დადებითად.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: *ნ. აქაოძე* /ლ. დეკანოიძე/